

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

1. სასწავლო პროგრამები:

უმაღლესი პროფესიული სწავლების საფეხურზე:

1. საზღვაო ნაოსნობა;
2. გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია;
3. საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა;
4. გემის ელექტრომექანიკოსი.

ბაკალავრიატში:

1. საზღვაო ნაოსნობა;
2. გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია;
3. საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა.

მაგისტრატურაში:

1. საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა.

სახელობო საფეხურზე:

1. მატროსი;
2. მოტორისტი;
3. ელექტროშემდუღებელი;
4. გემის ელექტრიკოსი;
5. გემის მზარეული.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: საზღვაო ნაოსნობა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სპეციალისტი;

კრედიტების რაოდენობა: 180 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი;

სასწავლო კურსის მიზნები: საზღვაო ნაოსნობა მოიცავს შემდეგ ასპექტებს: საზღვაო და სამდინარო გემები და ტექნიკური საშუალებები, მათი, როგორც მოძრავი ობიექტების ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მართვა, საექსპლუატაციო საწარმოთა გემების მუშაობის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა.

სასწავლო კურსის სავარაუდო შედეგები: პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:

- გათვლის მატერიალური დანახარჯების ნორმატივები (სათადარიგო ნაწილები, მასალების, ენერჯის გახარჯვის ნორმები);
- შემუშავების პროცესში მყოფი და გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, მასალების მუშაობის პრინციპები, ტექნიკური მახასიათებლები, კონსტრუქციული თავისებურებები და თვისებები;
- ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებისა და გაფორმების სტანდარტები, ტექნიკური პირობები და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები; ტექნიკური დოკუმენტაციის, მასალების, ნაწარმისა და მომსახურებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები;
- ტექნიკური გათვლების ჩატარების მეთოდები და გამოკვლევებისა და დამუშავების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა;
- ტრანსპორტისა და სატრანსპორტო საშუალებების მართვის პრინციპები ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით; აღჭურვილობის გამოყენების მეთოდები, სამუშაოთა შესრულების წესები და პირობები;
- ზემდგომი და სხვა ორგანოების კანონები, დადგენილებები, განკარგულებები და ბრძანებები, მეთოდური, ნორმატიული და სახელმძღვანელო მასალები, რომლებიც ეხება შესასრულებელ სამუშაოს;
- დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს თავისებურებანი და განვითარების პერსპექტივების ცოდნა;
- ეკონომიკის, წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის საფუძვლები;
- შრომის კანონმდებლობის საფუძვლები;
- შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძართსაწინააღმდეგო დაცვის წესები და ნორმები;
- ეკოლოგიის მოთხოვნები.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სპეციალისტი;

კრედიტების რაოდენობა: 180 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი;

სასწავლო კურსის მიზნები: პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:

- გემის მთავარი ძრავის, გემის ტექნიკური საშუალებებისა და მომსახურე სისტემების მზადყოფნის, საიმედო გაშვების და მუშაობის რეჟიმების კონტროლის უზრუნველყოფის მეთოდები.
- სვლის დროს სამანქანო ვახტაზე დგომის, გემის ენერგეტიკული დანადგარების სამუშაო პარამეტრების კონტროლის, ყველა მექანიზმის მდგომარეობის კონტროლის, გაუმართაობათა აღმოჩენისა და აღმოფხვრის, ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების მეთოდები;
- გემის ეფექტური ტექნიკური გამოყენების, გემის ენერგეტიკული დანადგარების სავახტო მომსახურების, გემის სისტემებისა და ტექნიკური საშუალებების სავახტო მომსახურების მათი მუშაობის ოპტიმიზაციის მეთოდები; ზღვაოსნობის უსაფრთხოების ტექნიკური უზრუნველყოფის, ზღვაოსნობის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და შელფის ათვისების დანადგარების ეფექტური გამოყენების მეთოდები;
- გემის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზების, მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ფლოტის ტექნიკური მზადყოფნის შენარჩუნების მეთოდები; აგებისა და რემონტის შემდეგ გემებისა და მათი ენერგეტიკული დანადგარების ხარისხის და ტექნიკური დონის კონტროლის მეთოდები; მათი ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმირების, ზღვაოსნობის უსაფრთხოებაზე ტექნიკური ზედამხედველობის, ფლოტის კადრებით უზრუნველყოფის მეთოდები;
- საექსპლუატაციო მაჩვენებლების ნორმირებისა და გაკონტროლების, ექსპლუატაციის პროცესში და გამოცდების შედეგად მათი მნიშვნელობების განსაზღვრის, გემის ექსპლუატაციაზე გაწეული დანახარჯებისა და სასარგებლო ეფექტის გათვლის მეთოდები;
- გათვლის მატერიალური დანახარჯების ნორმატივები (სათადარიგო ნაწილები, მასალების, ენერჯის გახარჯვის ნორმები);
- გემთშემკეთებელ ქარხანაში დაყენებისას გემის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდები და ქარხნის კომისიისათვის მისი წარდგინების მეთოდები.
- საერთაშორისო საზღვაო კონვენციებისა და საქართველოს საკანონმდებლო აქტები, ასევე სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც ეხება ზღვაოსნობის უსაფრთხოებას, გემებისა და ზღვის გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას;
- შემუშავების პროცესში მყოფი და გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, მასალების მუშაობის პრინციპები, ტექნიკური მახასიათებლები, კონსტრუქციული თავისებურებები და თვისებები.
- ტექნიკური დოკუმენტაციის, მასალების, ნაწარმისა და მომსახურებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები; ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებისა და გაფორმების სტანდარტები, ტექნიკური პირობები და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები; ეკონომიკის, წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის საფუძვლები; შრომის კანონმდებლობის საფუძვლები; შრომის დაცვის,
- უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძართსაწინააღმდეგო დაცვის წესები და ნორმები.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სპეციალისტი;

კრედიტების რაოდენობა: 180 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი;

სასწავლო კურსის მიზნები: ტრანსპორტისა და მექანიკის ინჟინერიის სფეროში დიპლომირებული სპეციალისტის მომზადება სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალობით;

- სატრანსპორტო ლოგისტიკის, ყველა სახის ტრანსპორტზე სატრანსპორტო გადაზიდვების, სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმიანობის, სამართლებრივი და კომერციული საქმიანობის სფეროში საფუძვლიანი ცოდნის მიღება, უახლესი სამეცნიერო მიღწევების გაცნობა და პროგრამის მოცულობითა და კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღება, პროფესიული აზროვნების ჩამოყალიბება;
- სრულფასოვანი პრაქტიკული საქმიანობისათვის სტუდენტის მომზადება;
- სატრანსპორტო-ლოგისტიკური საქმიანობის სფეროში პროფესიონალური (ლოგისტიკური) და ანალიტიკური ჩვევების გამომუშავება;
- სწავლის შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაგროვება;
- სატრანსპორტო გადაზიდვებში, საბაჟო ტერმინალურ კომპლექსებში, სხვადასხვა სახის ტვირთებთან, სატრანსპორტო საშუალებებთან, აგრეთვე, დატვირთვა-განტვირთვის, გადატვირთვის და სასაწყობო ტექნიკა-მოწყობილობებთან უსაფრთხო მუშაობისა და მათი მომსახურების პრაქტიკული პროფესიული ჩვევების გამომუშავება.

სასწავლო კურსის სავარაუდო შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

- მსოფლიოსა და რეგიონის სატრანსპორტო სისტემების, ერთიანი სატრანსპორტო სისტემის, სატრანსპორტო ქსელების კონფიგურაციის, სატვირთო ნაკადები და მათი პარამეტრების განსაზღვრის მეთოდების, სხვადასხვა სახის ტრანსპორტის საწარმოთა მოწყობილობისა და მეურნეობის, გადაზიდვების ტექნოლოგიის, ორგანიზაციისა და მართვის, მიკრო და მაკრო ლოგისტიკური სისტემებისა და მათი ძირითადი ფუნქციებისა და ოპერაციების, სატრანსპორტო ლოგისტიკის საფუძვლების, გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის ეკონომიკური საფუძვლების ცოდნა.
- ლოგისტიკისა და სატრანსპორტო სისტემების პროექტირების მეთოდების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საფუძვლების, სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემებისა და გადაზიდვების მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდების ცოდნა.
- სატრანსპორტო სისტემების ორგანიზაციის საფუძვლების, სატრანსპორტო ნაკადების ალბათობის თეორიის გამოყენებით გაანგარიშების მეთოდის ცოდნა.

- ეროვნული და საერთაშორისო სატრანსპორტო კანონმდებლობის, სატრანსპორტო საექსპედიციო გადაზიდვების მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, ტვირთების გადაზიდვის წესების, საერთაშორისო ატვირთო მიმოსვლის შესახებ კონვენციებისა და შეთანხმებების, სატრანსპორტო, სატვირთო და ფინანსური დოკუმენტაციის ფორმების ტვირთების გადაზიდვის, სატრანსპორტო ექსპედიციებისა და დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების წესების, საბაჟო კანონმდებლობის საფუძვლების, შრომის კანონმდებლობის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებისა და დეკლარირების წესები.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: გემის ელექტრომექანიკოსი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სპეციალისტი;

კრედიტების რაოდენობა: 180 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი;

სასწავლო კურსის მიზნები:

- მომზადდეს დიპლომირებული სპეციალისტი გემის ელექტრომექანიკის ინჟინერიის საქმის საფუძვლების ცოდნით და ორიენტირებული ამ სპეციალობით პრაქტიკულ საქმიანობაზე;
- მოკლე დროში მომზადდეს დიპლომირებული სპეციალისტი გემის ელექტრომექანიკოსის სპეციალობით, საზღვაო გადაზიდვებისათვის საჭირო საინჟინრო კადრების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით, უნარებით და სწრაფი დასაქმების მაღალი ალბათობით;
- მომზადდეს დიპლომირებული სპეციალისტი მყარი ბაზისური ცოდნითა და დროის შესატყვისი ტრანსფერული უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიურად ცვლად გარემოში ორიენტირებას;
- მომზადდეს დიპლომირებული სპეციალისტი, რომელსაც მიღებული ცოდნა, მისი სურვილის შემთხვევაში საშუალებას მისცემს ამისთვის საჭირო პროცედურის გავლით, სწავლა განაგრძოს შემდგომი დონის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

სასწავლო კურსის სავარაუდო შედეგები: პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:

- მათემატიკის საფუძვლების, მისი ძირითადი მეთოდებისა და მათი მარტივი საინჟინრო-ტექნიკური ამოცანების გადასაჭრელად გამოყენების ცოდნა;
- ბუნებისმეტყველების საფუძვლების ცოდნა და საინჟინრო-ტექნიკური და სპეციალური ამოცანების/პრობლემების გადაჭრაში მათი ადგილის გაცნობიერება;
- გაერკვეს სამანქანათმშენებლო ნახაზებში და ელექტრულ თუ ელექტრონულ სქემებში;
- ესკიზის საფუძველზე ნახაზის შესრულება გრაფიკულად ან შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის საშუალებით;
- გემზე არსებული მოწყობილობებისა და მექანიზმების მუშაობის/ექსპლუატაციის ზოგადი პრინციპების ცოდნა;
- სპეციალისტის ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება.
- სასაუბრო და პროფესიული უცხო ენების ცოდნა, რაც მისცემს კურსდამთავრებულს პროფესიული მოღვაწეობის წარმართვა უცხოურ მცურავ საშუალებებზე.

წაკითხვა და გარკვევა გემების ელექტრული და ავტომატური სისტემების დეტალების, კვანძების ან მთლიანი მოწყობილობის შეკეთების ტექნოლოგიურ რუკებში;

- სათანადო მზომი ინსტრუმენტებისა და დიაგნოსტიკური აპარატურის გამოყენება.
- ცალკეული მარტივი ელექტროტექნიკური ელემენტების გაანგარიშება;
- გარემოსა და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა ინსტრუქციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: საზღვაო ნაოსნობა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი;

კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი;

სასწავლო კურსის მიზნები: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნაოსნობა“, ამზადებს საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრებს და განკუთვნილია 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემები ვახტის ოფიცრისა და კაპიტნის მოსამზადებლად საზღვაო გემების ექსპლუატაციის და მართვის დონეზე.

საზღვაო ნაოსნობა – არის საზღვაო და სამდინარო გემების და ტექნიკური საშუალებების, მათი, როგორც მოძრავი ობიექტების ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მართვა, საექსპლუატაციო საწარმოთა გემების მუშაობის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა.

სასწავლო კურსის სავარაუდო შედეგები: პროფესიული საქმიანობის სახეების შესაბამისად კურსდამთავრებული მომზადებულია შემდეგი ტიპური ამოცანების გადასაწყვეტად:

- სატრანსპორტო აღჭურვილობის მონტაჟისა და აწყობის სამუშაოთა უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზაცია;
- სატრანსპორტო აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე მეთვალყურეობა.
- საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შემუშავება;
- სატრანსპორტო აღჭურვილობის წარმოებული დეტალების, კვანძების, აგრეგატებისა და სისტემების, ასევე სატრანსპორტო აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურეობისა და სარემონტო სამუშაოების სერტიფიკაციის ჩატარებისას ექსპერტიზისა და აუდიტის ორგანიზება;
- სასერტიფიკაციო და სალიცენზიო დოკუმენტების მომზადება და შემუშავება;
- ბ) საორგანიზაციო და საექსპლუატაციო საქმიანობა;
- გ) საწარმო-ტექნოლოგიური საქმიანობა;
- დ) გემის გარემომცველი სივრცის, ატმოსფეროსა და ზღვის გარემოს ფიზიკური და ქიმიური თვისებების განსაზღვრა;
- გემის უსაფრთხო მართვის სფუძვლები, საზღვაო სიგნალიზაცია, ნავიგაციური ვახტის ორგანიზება, გემების დაბმისა და დგომის ოპერაციები, ნავიგაცია ყინულში და შტორმულ პირობებში, სატვირთო და სამგზავრო ოპერაციები ზღვაში, გემების ბუქსირება ზღვაში და მეჩქეჩიდან მოხსნა, მოქმედებები ავარიულ სიტუაციებში;
- ძირითადი საერთაშორისო საზღვაო კონვენციები და მათი მოთხოვნები საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ზღვაზე დახმარების გაწევა;
- ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების კლასიფიკაცია, სტანდარტული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოება, სინოპტიკური რუქების წაკითხვა, ამინდის მოკლევადიანი პროგნოზის შედგენა, ამინდზე დაკვირვებების კოდირება საერთაშორისო მეტეოკოდით **FM-22**;
- ნავიგაციის ძირითადი ცნებები, საზღვაო რუქები და კარტოგრაფიული პროექციები, სანავიგაციო ტექნიკური საშუალებები და მათი გამოყენება, ცურვა განსაკუთრებულ შემთხვევებში და გემის

ადგილმდებარეობის განსაზღვრა ოკეანეში ოპტიმალური მარშრუტით ცურვა, ცნებები საზღვაო ლოციიდან, საზღვაო სიგნალები და სასიგნალო სადგურები, დინებების გათვალისწინება ნაოსნობაში, ნავიგაციური მზადება ცურვისათვის, საზღვაო ჰიდროგრაფიის ელემენტები, ზღვაზე ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზება;

- თანამედროვე სატრანსპორტო გემების კონსტრუქციებისა და მოწყობილობების ტექნიკური უზრუნველყოფა, გემის მგრადობის, ცურვადობის, მართვადობის, სვლისუნარიანობის თეორიული საფუძვლები და მათი პრაქტიკული გამოყენება ექსპლუატაციის დროს, გემის დატვირთვის დაგეგმვა და მდგრადობის განსაზღვრა, თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება სატვირთო ოპერაციების შესრულებისას;
- სფერული და საზღვაო ასტრონომიის საფუძვლები, ძირითადი თანავარსკვლავედებისა და ნავიგაციური ვარსკვლავედების გარჩევა, ასტრონომიული ხელსაწყოებით (სექსტანი, ვარსკვლავური გლობუსი და დროის გამზომები) მუშაობის უნარჩვევები, ციური მნათობებით კომპასის შესწორების განსაზღვრა, გემის ადგილის განსაზღვრა ციური მნათობებით, ვარსკვლავებითა და მზით;
- მიწისპირა და თანამგზავრული საზღვაო რადიოკავშირის სისტემების ფუნქციონირების პრინციპები, ძირითადი მახასიათებლები, მუშაობის რეჟიმები და ექსპლუატაციის წესები, საერთაშორისო საზღვაო რადიოკავშირის რეგლამენტი ინგლისური ენის გამოყენებით ზღვაზე ნაოსნობის უსაფრთხოების, გადარჩენისა და ძიების უზრუნველსაყოფად;
- ტვირთის უსაფრთხო და დაცული გადაზიდვის ტექნოლოგია საერთაშორისო და ეროვნული ნორმების გამოყენებით.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი;

კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი;

სასწავლო კურსის მიზნები:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია“, ამზადებს საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრებს და განკუთვნილია 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემების ვახტის (მთავარი) მექანიკოსის მოსამზადებლად საზღვაო გემების ექსპლუატაციის და მართვის დონეზე.
- გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია ნიშნავს საზღვაო, სამდინარო და თევზსარეწი ფლოტის გემების შეღვის ათვისებისა და საჭაბურდილე პლატფორმების გემების, მცურავი დიზელ-ელექტროსადგურების გემების ენერგეტიკული დანადგარების, გემთსარემონტო საწარმოების გამოყენებისა და მართვის დაუფლებას.

სასწავლო კურსის სავარაუდო შედეგები: პროფესიული საქმიანობის სახეების შესაბამისად კურსდამთავრებული მომზადებულია შემდეგი ტიპური ამოცანების გადასაწყვეტად:

- ა) საქსპლუატაციო-ტექნიკური და სერვისული საქმიანობა;
- საზღვაო ან თევზსაჭერი გემების სამეთაურო შემადგენლობათა შესრულება საზღვაო ტრანსპორტის დარგში აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- სატრანსპორტო აღჭურვილობის ექსპლუატაცია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად;
- დაყენებული, ექსპლუატაციაში მყოფი და რემონტში მყოფი სატრანსპორტო აღჭურვილობის გამოცდის ჩატარება და მუშაობის უნარიანობის განსაზღვრა;
- სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის პროცესში შესაცვლელად საჭირო მთლიანი აღჭურვილობის, აღჭურვილობის ელემენტებისა და სისტემების ამორჩევა;
- სატრანსპორტო აღჭურვილობის, ძალოვანი და ენერგეტიკული სისტემების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ჩასატარებელი სამუშაოების ხელმძღვანელობა;
- სატრანსპორტო აღჭურვილობის მონტაჟისა და აწყობის სამუშაოთა უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზაცია;
- სატრანსპორტო აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე მეთვალყურეობა;
- საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შემუშავება;
- სატრანსპორტო აღჭურვილობის წარმოებული დეტალების, კვანძების, აგრეგატებისა და სისტემების, ასევე სატრანსპორტო აღჭურვილობის ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო სამუშაოების სერტიფიკაციის ჩატარებისას ექსპერტიზისა და აუდიტის ორგანიზება;
- სასერტიფიკაციო და სალიცენზიო დოკუმენტების მომზადება და შემუშავება.
- ბ) საორგანიზაციო და საექსპლუატაციო საქმიანობა;
- გ) საწარმო-ტექნოლოგიური საქმიანობა.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი;

კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი;

სასწავლო კურსის მიზნები:

- საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის, ყველა სახის ტრანსპორტზე საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებისა და სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მომსახურების, საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის სამართლებრივი და კომერციული საქმიანობის სფეროში საფუძვლიანი ცოდნის დაუფლება, უახლესი მეცნიერული ცოდნის ათვისება, კრიტიკული აზროვნების გამომუშავება;
- საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის სფეროში (ტრანსპორტის სხვადასხვა დარგებში), სასაწყობო ლოგისტიკაში, სატრანსპორტო ექსპედიციაში, სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროცესების მართვაში სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობისთვის მომზადება;
- საერთაშორისო სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების სხვადასხვა სფეროში ლოგიკური და ანალიზური უნარის განვითარება, პრობლემათა გადაჭრის ჩვევების გამომუშავება;
- სწავლების შემდეგ საფეხურებზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარის-ჩვევების გამომუშავება;
- ლოგისტიკაში ინჟინერიის ბაკალავრის დამახასიათებელი სხვადასხვა ლოგისტიკური პროექტების, საბაზრო სიტუაციების შესაბამისი საწარმო-ლოგისტიკური ციკლების და სატრანსპორტო-ლოგისტიკური ჯაჭვების პრაქტიკული ანალიზური უნარ-ჩვევების შემუშავება, საწარმო-სატრანსპორტო და სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემებში უახლესი საწარმოო ლოგისტიკური (გადაზიდვის ტექნოლოგიების) და საინფორმაციო ტექნოლოგიების დაუფლება, სხვადასხვა საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკურ სისტემებში-სატრანსპორტო დერეფნებში სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ფუნქციონირების პირობებში ლოგისტიკური მართვის პრაქტიკული საქმიანობის უნარის შემუშავება;
- საერთაშორისო გადაზიდვებში სხვადასხვა სახის ტვირთებთან, სატრანსპორტო საშუალებებთან, დატვირთვა-განტვირთვისა და გადატვირთვის, სასაწყობო ტექნიკისა და მოწყობილობებთან უსაფრთხო ურთიერთდამოკიდებულებისა და მოხმარების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სასწავლო კურსის მოსალოდნელი შედეგები:

- სხვადასხვა სახის საბუნებისმეტყველო და ზოგად ტექნიკური მეცნიერებათა: ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული გრაფიკის, გამოყენებითი მექანიკის ძირითად დებულებათა კანონზომიერებათა და მათი გამოყენებითი ასპექტების ღრმა ცოდნა;
- სისტემური მიდგომისა და ანალიზის, სისტემების მოდელირების პრინციპების, მეთოდების, ლოგისტიკაში და ტრანსპორტზე მათემატიკური მეთოდებისა და მოდელის მეთოდოლოგიასა და გამოყენებითი ასპექტების ღრმა ცოდნა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად
- თანამედროვე ტრანსპორტის თეორიული საფუძვლები, მსოფლიოსა და რეგიონების სატრანსპორტო სისტემები; ქვეყნის ერთიანი სატრანსპორტო სისტემა; სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საქარმოთა მოწყობილობა და მეურნეობა; გადაზიდვების ტექნოლოგია, ორგანიზაცია და მართვა სხვადასხვა სახის

ტრანსპორტზე; სატრანსპორტზე გზების და ტერმინალური სისტემების საექსპლუატაციო შესაძლებლობანი.

- საერთაშორისო შორეული გადაზიდვების ტერმინოლოგიის, საერთაშორისო სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის სატრანსპორტო დერეფნების ორგანიზაციების, ორგანიზაციისა და ექსპლუატაციის მთავარი პრინციპი და დებულებები ყველა სახის საერთაშორისო ტრანსპორტზე
- ლოგისტიკის საფუძვლები, პრინციპები, მეთოდები. ლოგისტიკის ძირითადი ნაწილების: სასაწყობო, სატრანსპორტო ლოგისტიკის ფუნქციონირების კანონზომიერებანი, პრინციპები და გამოყენებითი ასპექტები, საერთაშორისო და რეგიონალური ლოგისტიკა, მათი გამოყენებითი ასპექტები,
- საქონელმცოდნეობის საფუძვლები, ტვირთების კლასიფიკაცია, შეფუთვის ხერხები; ტვირთების მარკირება; გადაზიდვების წესები ყველა სახის ტრანსპორტზე სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმიანობის ტექნოლოგია და ორგანიზაცია, სატრანსპორტო ნაკადების პარამეტრები და მათი განსაზღვრის მეთოდები, ტვირთების მიზიდვის სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სქემების ოპტიმიზაციის მეთოდები ლოგისტიკური სისტემების გამოყენებით
- სატრანსპორტო ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ლოგისტიკის ადმინისტრირების, ლოგისტიკის სატრანსპორტო უზრუნველყოფის საფუძვლები. გადასახადების დაზღვევა და შეღავათების მოქმედი სისტემები. სადაზღვევო და საბჟო გადასახადების სისტემა; ტვირთების მიზიდვის ღირებულების განსაზღვრი მეთოდები
- კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც მიეკუთვნება სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმიანობას, საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები ტრანსპორტზე, ხელშეკრულების დადების წესი სასაქონლო თანმხლები, სატრანსპორტო-საექსპედიციო; გადახდის, საპრეტენზიო-სადაზღვევო დოკუმენტების გაფორმება, შრომის კანონმდებლობის საფუძვლები, რომლებიც აუცილებელია სატრანსპორტო საექსპედიციო საქმიანობისათვის.
- პასუხისმგებლობა ტვირთების დაღუპვის, დაკარგვის ან დაზიანების და დაკარგვასთან დაკავშირებით მომხმარებელთა მომსახურების სტანდარტების ცოდნა და მათი დაცვა ლოგისტიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის მაგისტრი;

კრედიტების რაოდენობა: 120 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი;

სასწავლო კურსის მიზნები:

- საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითად მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი, რომლის მართვაც საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის საფუძველზე წარმოებს. მისი დანიშნულებაა მსოფლიოს სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურებს შორის კავშირის დამყარება შრომის საერთაშორისო დანაწილების, კოოპერაციისა და კოორდინირების, საერთაშორისო კონვენციებისა და სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე. ამ პროცესების განხორციელება ხდება გლობალური ლოგისტიკური არხებისა და ჯაჭვების, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების შექმნის საფუძველზე.
- საქართველო წარმოადგენს „ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის ინტერმოდალური სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის“, ანუ უმნიშვნელოვანესი ლოგისტიკური დერეფნის საკვანძო პუნქტს. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს უჩნდება რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც საგრძნობლად გაზრდის ქვეყნის შემოსავლებს, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, ხელს შეუწყობს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის განვითარება თავის მხრივ უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ისეთი დარგების აღორძინებისათვის, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტურიზმი. გამართული სატრანსპორტო სისტემა და ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს, რაც უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და გარეთ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის.
- ასეთი რეალობისა და პერსპექტივის გათვალისწინებით, ქართულ სივრცეში აუცილებელი ხდება გადაზიდვების დარგში როგორც დიპლომირებული სპეციალისტების, ასევე ბაკალავრებისა და მაგისტრების მომზადება, რათა ეფექტურად გადაწყდეს საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების მართვის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხი. საქართველოში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მთავარი პრობლემა მდგომარეობს ქსელური ეფექტის არარსებობაში. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დეფიციტის გამო არ ხდება სინერგიების ათვისება სატრანსპორტო გადაზიდვასა და ლოგისტიკაში. ლოგისტიკის სფეროში ქართული კომპანიების დაბალი კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად ხელს უშლის ადგილობრივ ბაზარზე საერთაშორისო მსხვილი კომპანიების შემოსვლას, რომელთა ინტერესს შეადგენს საქართველოში ისეთი სადისტრიბუციო ცენტრების შექმნა, რომლებიც მოემსახურებიან კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ლოგისტიკის დარგში აშკარად განიცდის ადგილობრივი გამოცდილი კადრების დეფიციტს. ამდენად, ძალზე აქტუალური ადგილობრივი საგანმანათლებლო ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სფეროში პროფესიონალების მომზადებას. სწორედ, ჩვენმა ახალგაზრდა კადრებმა უნდა შექმნან წინაპირობა

მაღალკვალიფიციური მენეჯერ-ლოგისტებით დაკომპლექტებული და ახალი ინტეგრალური პაკეტით (კომპლექსური სატრანსპორტო მომსახურება) მომუშავე ფირმების შექმნისათვის.

- უახლესი მონაცემებით, საქართველოში მწარმოებელთა და დისტრიბუტორთა ლოგისტიკური დანახარჯები პროდუქტის თვითღირებულების 50–60% შეადგენს. ეფექტური ლოგისტიკური მენეჯმენტისა და პროცესების ოპტიმიზაციის პირობებში ამ დანახარჯების შემცირება 20–30% არის შესაძლებელი. სწორედ, თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ლოგისტიკის მენეჯერები შეძლებენ სატრანსპორტო-საექსპედიციო და ლოგისტიკური ფირმების ბიზნეს-სტრატეგიებისა შექმნასა და პერსპექტიულ დაგეგმარებას, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებში ყველა სახის ტრანსპორტით გადაზიდვების ეფექტურ მართვას, ორგანიზაციულ დაპროექტებას, ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარებას. აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი შეძლებს წარმატებით გადაჭრას სამმართველო, ორგანიზაციულ-ტექნიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო-ანალიზური, საფინანსო, სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური, საკონსულტაციო, ინოვაციური და სხვა ტიპის ამოცანები.
- აღნიშნული პროგრამის გავლის შედეგად, კურსდამთავრებულმა სრულყოფილად უნდა გაიაზროს თავისი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, გამოავლინოს მის მიმართ სტაბილური ინტერესი; პროგრამის წარმატებულად დასრულება საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს მიიღოს მრავალმხრივი, პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული თეორიული განათლება ლოგისტიკის სფეროში და მომზადდეს პროფესიული საქმიანობისათვის. მას შეუძლია ორგანიზება გაუკეთოს და მართოს: ყველა სახის გადაზიდვები, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები, პორტის ტერიტორიაზე ტვირთების მოძრაობა, ტერმინალებისა და საწყობების მუშაობა, ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების მუშაობა.

სასწავლო კურსის მოსალოდნელი შედეგები:

- საერთაშორისო და ქვეყნისშიდა ტრანსპორტის სფეროში უახლესი თეორიული და თეორიულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა;
- მომხმარებელთა მომსახურების თანამედროვე სტანდარტებისა და სერვისის მიერ მოთხოვნილი დონის უზრუნველყოფის პირობებში და მომიჯნავე სფეროებში (მრეწველობა, ვაჭრობა, საბაჟოსაქმე, მართვის სატელეკომუნიკაციო სისტემები) ღრმა და სისტემური ცოდნის გამოყენებით, სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ბიზნესში წარმოქმნილი სპეციფიკური ეთიკური პრობლემების გაცნობიერება და დარგისათვის ცნობილი განსაკუთრებული მოთხოვნების გამოყენებით ეთიკურ დილემათა გადაჭრის უნარი;
- ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების ფუნქციონირების პირობების ცოდნა;
- საერთაშორისო ლოგისტიკური მენეჯმენტის თეორიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტების, აგრეთვე, საერთაშორისო სატრანსპორტო-ლოგისტიკური ბიზნესის მართვის ინტეგრაციული სისტემების კომპონენტების ცოდნა;
- ტექნიკური, ტექნოლოგიური, კომერციული, ეკონომიკური, სიტუაციური საკითხების ანალიზის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების ცოდნა;

- მათემატიკური მოდელირებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სოციალ-ეკონომიკური დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების, საერთაშორისო სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების მოდელირების, ოპტიმიზაციის გამოკვლევა და პროექტირების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- ყველა სახის საერთაშორისო ტრანსპორტზე არსებული სავაჭრო, სატრანსპორტო და საბაჟო დოკუმენტაციის წარმოების წესების, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა და კონვენციების, მოძრაობის უსაფრთხოების, შრომის პირობებისა და ეკოლოგიური საკითხების ცოდნა;
- დარგობრივი სფეროს შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- მაკროლოგისტიკურ დონეზე სატრანსპორტო-საექსპედიციო ფორმების საწარმოო პოტენციალის შეფასება და სატრანსპორტო-ლოგისტიკური ბიზნესის ეფექტური სტრატეგიებისა და საპროექტო მენეჯმენტის განხორციელება;
- სატრანსპორტო-ლოგისტიკური და საექსპედიციო ფირმების აუდიტორული შემოწმება ბაზრის მარკეტინგული კვლევის ჩატარება და საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- სატრანსპორტო-ლოგისტიკური სამსახურების ამოცანებიდან გამომდინარე ინტერმოდალური გადაზიდვების პროექტების დამუშავება და სტრატეგიების (ბიზნეს-გეგმის) რეალიზაცია სხვადასხვა სახის ტრანსპორტზე;
- პროფესიული კომპეტენციების ფარგლებში ამოცანების დასმა და გადაჭრა ინტერმოდალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების და საქონლის ფიზიკური განაწილების სისტემების სტრატეგიული და ოპერატიული მენეჯმენტის სისტემური გამოკვლევა, ზოგიერთი ტენდენციებისა და კონკრეტული სიტუაციების კრიტიკული ანალიზი;
- სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის, სატრანსპორტო-ლოგისტიკური და კომერციული პროცესების ჩატარებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებისა და ნორმატივების განსაზღვრა და მათში კორექტივების შეტანა; აგრეთვე, მათი წარმოება, გაფორმება და დასამტკიცებლად წარდგენა;
- საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით სატრანსპორტო და ლოგისტიკური საქმიანობის მიმდინარეობაზე დანახარჯების ხარჯთაღრიცხვის შედგენა, პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგების განსაზღვრა.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: მატროსი;

მისანიჭებელი კვალიფიკცია: I კლასის მატროსი;

კრედიტების რაოდენობა: 60 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წელი.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: მოტორისტი;

მისანიჭებელი კვალიფიკცია: I კლასის მოტორისტი;

კრედიტების რაოდენობა: 60 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წელი.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: გემის ელექტროშემდუღებელი;

მისანიჭებელი კვალიფიკცია: გემის ელექტროშემდუღებელი;

კრედიტების რაოდენობა: 60 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წელი.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: გემის ელექტრიკოსი;

მისანიჭებელი კვალიფიკცია: გემის ელექტრიკოსი;

კრედიტების რაოდენობა: 60 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წელი.

პროგრამის აღწერილობა:

სახელწოდება: გემის მზარეული;

მისანიჭებელი კვალიფიკცია: გემის მზარეული;

კრედიტების რაოდენობა: 60 კრედიტი;

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წელი.